

შპს „ორბი ბეტონი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია.....	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	5
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	10
5. ამონაგები რეალიზაციიდან.....	11
6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	11
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	11
8. აქტივების გაუფასურების ხარჯი.....	11
9. საკურსო მოგება	12
10. ძირითადი საშუალებები	13
11. სასაქონლო მატერიალური მარაგები.....	14
12. გაცემული სესხები.....	14
13. საგადასახადო აქტივი	15
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	15
15. ფული და ფულის ეკვივალენტები	15
16. კაპიტალი.....	15
17. მოკლევადიანი სესხები.....	16
18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	16
19. პირობითი ვალდებულებები.....	17
20. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	17
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	17

შპს „ორბი ბეტონი“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები რეალიზაციიდან	5	10,032,997	18,072,691
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(9,565,452)	(16,657,999)
საერთო მოგება		467,545	1,414,692
სხვა შემოსავალი		-	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	7	(1,301,642)	(649,966)
აქტივების გაუფასურების ხარჯი	8	1,837,926	(701,732)
საოპერაციო მოგება		1,003,829	62,994
ფინანსური შემოსავალი	12	210,390	27,070
ფინანსური ხარჯი	17	(236,607)	(316,260)
საკუროსო მოგება	9	5,758	321,028
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		983,370	94,832
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		983,370	94,832

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 8 მაისს:

ამირან მეფარიშვილი
დირექტორი

შპს „ორბი ბეტონი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	3,840,770	4,526,790
არამატერიალური აქტივები		701	1,224
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,841,471	4,528,014
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	11	-	885,439
გაცემული სესხები	12	-	-
საგადასახადო აქტივი	13	58,214	142,246
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	234,525	2,773,439
ფული და ფულის ეკვივალენტები	15	62,731	407,956
სულ მიმდინარე აქტივები		355,470	4,209,080
სულ აქტივები		4,196,941	8,737,094
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	16	200	200
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	16	1,049,624	66,053
სულ კაპიტალი		1,049,824	66,253
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	13	-	-
მოკლევადიანი სესხები	17	2,647,019	4,213,685
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18	500,098	4,457,156
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,147,117	8,670,841
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		4,196,941	8,737,094

შპს „ორბი ბეტონი“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2021	200	(224,779)	(224,579)
წლის სრული ზარალი	-	94,832	94,832
მფლობელთან განხორციელებული ოპერაციები:			
მფლობელთან განხორციელებული ოპერაციების შედეგი (შენიშვნა 16)	-	196,000	196,000
31 დეკემბერი 2022	200	66,053	66,253
წლის სრული შემოსავალი	-	983,370	983,370
მფლობელთან განხორციელებული ოპერაციები:			
მფლობელთან განხორციელებული ოპერაციების შედეგი (შენიშვნა 16)	-		
31 დეკემბერი 2023	200	1,049,423	1,049,623

5-17 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „ორბი ბეტონი“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)	983,370	94,832
არაფულადი კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	182,520	593,922
ფინანსური შემოსავალი	(210,390)	(27,070)
ფინანსური ხარჯი	236,607	316,260
აქტივების გაუფასურების ცვლილება	(1,837,926)	701,732
საკუროს მოგება	(5,758)	(321,028)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის კორექტირებამდე	(651,578)	1,358,648
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:		
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები საქონელში	885,439	(428,958)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	2,538,914	(1,867,122)
ცვლილებები საგადასახადო აქტივებში	84,032	-
ზრდა/(შემცირება) საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(1,700,650)	2,130,587
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	84,032	(160,206)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	1,240,189	1,032,949
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
გადახდილი პროცენტი	(858,348)	(131,543)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	381,841	901,406
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(26,784)	(283,952)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობაზე	(26,784)	(283,952)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
აღებული/(დაფარული) სესხი	(708,316)	(276,851)
მფლობელთან განხორციელებული ოპერაციების შედეგი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობაზე	(708,316)	(276,851)
ნეტო ზრდა/(შემცირება) ფულის ან ფულადი ეკვივალენტების	(353,259)	340,603
ფული და ფულადი ნაკადები პერიოდის დასაწყისში	407,956	68,205
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად ნაკადებზე	8,034	(852)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	62,731	407,956

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „ორბი ბეტონი“ (შემდგომში კომპანია) როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, დაარსდა 2010 წლის 1 ნოემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია: 448382090.

ძირითადი საქმიანობა. სამშენებლო მასალების წარმოება და რეალიზაცია. საცალო და საბითუმო ვაჭრობა.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, მეჯინისწყალის დასახლება. კომპანიის სათაო ოფისი და საქმიანობის ადგილი არის იგივე მისამართზე.

კომპანიის მეწილეები: საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე, კომპანიის 50% წილს ფლობდა ზაზა ზოიძე, ხოლო დარჩენილ 50%-ს მალხაზ ბერიძე. კომპანიის დირექტორები არიან მალხაზ ბერიძე და ამირან მეფარიშვილი.

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქართველოში საქმიანობს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე, მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომლებიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით. მენეჯმენტის პოზიცია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენების მართებულობასთან დაკავშირებით მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, სადაც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების

დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	აშშ დოლარი	ევრო
31 დეკემბერი 2023	2.6894	2.9753
31 დეკემბერი 2022	2.7020	2.8844

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ თანხებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

საპენსიო შენატანები. 2019 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების თანხის სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები.

• **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

• **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

• **დაუმთავრებელი მშენებლობა.** დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულება მოიცავს მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებულ მასალებს და შრომის ანაზღაურებას, იმ ძირითადი საშუალებების ცვეთას, რომელიც მონაწილეობს მათ შექმნაში და ასევე სხვა სახის ზედნადებ ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესაც იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ კომპანიას შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.

• **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
სპეც. ტექნიკა	15
მანქანა-დანადგარები	7-20
სხვა აქტივები	5-10

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები.

• **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამას და წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიას ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ამორტიზაცია. ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე. არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. პროგრამულ უზრუნველყოფაზე დარიცხული ამორტიზაცია ასახულია ადმინისტრაციულ ხარჯებში, ხოლო ლიცენზიებზე დარიცხული ამორტიზაცია კაპიტალიზირდება მოპოვებული აქტივების თვითღირებულებაში.

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
პროგრამა	15
წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია	1 წელი, არაუმეტეს 24,754 კუბ.მ

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ

წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსის გაუფასურება და სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები, რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული საქონლის/მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას. კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

მასალების რეალიზაცია ხდება იურიდიულ პირებზე, ძირითადად დაკავშირებულ მხარეებზე. ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ხდება პროდუქციაზე კონტროლის უფლების გადაცემა, რაც გულისხმობს პროდუქციის მომხმარებელზე გადაცემას.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებარამატერიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ

განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში;
- ის წარმოადგენს ფულს და ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდილია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში;
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში;
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

ტრანზაქციები დაკავშირებული მხარეებთან. დაკავშირებული მხარე არის პირი ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ანგარიშვალდებული საწარმო).

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

- (i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს;
- (iii) ან მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);
- (ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

- (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
- (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმო ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
- (v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;
- (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- (vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;
- (viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

4. მნიშვნელოვანი საადრიცხო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული საადრიცხო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **საგაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით საგაჭრო მოთხოვნები დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიური გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. სხვა მოთხოვნების გაუფასურებისთვის კომპანია იყენებს გაუფასურების ინდივიდუალურ მიდგომას.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, ტექნიკურ მოძველებას და ფიზიკურ ცვეთას. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. კომპანია გეგმავს გადახედოს დადგენილ სასარგებლო მომსახურების ვადებს მას შემდეგ რაც მოხდება ძირითადი საშუალებებისთვის რეალური ღირებულების, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულების დადგენა.

- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

შპს „ორბი ბეტონი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

5. ამონაგები რეალიზაციიდან

ამონაგები რეალიზაციიდან შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2023	2022
ამონაგები ბეტონის რეალიზაციიდან	7,835,387	15,817,007
ამონაგები ბეტონის გადატუმბვის მომსახურებიდან	522,502	1,230,972
სხვა	1,675,108	1,024,712
სულ	10,032,997	18,072,691

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2023	2022
მასალები	(7,484,507)	(12,870,558)
ხელფასის ხარჯი	(463,262)	(1,039,080)
საწვავის ხარჯი	(313,302)	(853,859)
მიმდინარე რემონტის ხარჯი	(238,317)	(776,889)
ტრანსპორტირების ხარჯი	(225,403)	(511,755)
ცვეთა და ამორტიზაცია	(439,957)	(426,252)
სხვა	(400,705)	(179,606)
სულ	(9,565,452)	(16,657,999)

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2023	2022
ხელფასის ხარჯი *	(760,424)	(378,677)
ცვეთა და ამორტიზაცია *	(9,092)	(167,705)
ქონების გადასახადი	(35,051)	(47,999)
სხვა	(497,076)	(55,585)
სულ	(1,301,642)	(649,966)

* წარმოების პროცესში მოცდენის დროს გაწეული ხარჯები აღიარებულია საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების მუხლში.

8. აქტივების გაუფასურების ხარჯი

აქტივების გაუფასურების ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2022	2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	(406,796)	(621,098)
გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვის ცვლილება	2,794,112	(80,634)
სულ	1,837,926	(701,732)

შპს „ორბი ბეტონი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. საკუროს მოგება

2023 წლის განმავლობაში კურსის ცვალებადობის ეფექტი კომპანიის შედეგებზე შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	ფული და ფულის ეკვივალენტები	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	გაცემული სესხები	მიღებული სესხები	სულ
დადებითი ეფექტი	39,059	96,209	420,143	328,868	884,280
უარყოფითი ეფექტი	(31,025)	(95,552)	(197,771)	(554,173)	(878,522)
წმინდა საკუროს მოგება/(ზარალი)	8,034	657	(286,986)	(225,305)	5,758

2022 წლის განმავლობაში კურსის ცვალებადობის ეფექტი კომპანიის შედეგებზე შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	ფული და ფულის ეკვივალენტები	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	გაცემული სესხები	მიღებული სესხები	სულ
დადებითი ეფექტი	254,013	12,581	173,969	1,070,292	1,510,855
უარყოფითი ეფექტი	(254,865)	(11,216)	(460,955)	(462,791)	(1,189,827)
წმინდა საკუროს მოგება/(ზარალი)	(852)	1,365	(286,986)	607,501	321,028

შპს „ორბი ბეტონი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა	სპეც. ტექნიკა	მანქანა-დანადგარები	სხვა აქტივები	სულ
31 დეკემბერი 2021	601,669	სპეც. ტექნიკა	მანქანა-დანადგარები	სხვა აქტივები	სულ
შემოსვლა	-	4,105,323	2,119,785	446,160	7,272,937
გასვლა	-	271,426	-	12,526	283,952
31 დეკემბერი 2021	601,669	-	-	-	-
შემოსვლა	-	4,376,749	2,119,785	458,686	7,556,889
გასვლა	-	18,563	-	4,260	22,824
31 დეკემბერი 2023	601,669	(271,426)	-	-	(271,426)
დაგროვილი ცვეთა					
31 დეკემბერი 2021	-	(970,411)	(1,249,601)	(307,484)	(2,527,496)
ცვეთის ხარჯი	-	(244,172)	(216,964)	(41,467)	(502,603)
გასვლა	-	-	-	-	0
31 დეკემბერი 2021	-	(1,214,583)	(1,466,565)	(348,951)	(3,030,099)
ცვეთის ხარჯი	-	(241,570)	(192,321)	(3,525)	(437,417)
გასვლა	-	-	-	-	0
31 დეკემბერი 2023	-	(1,456,153)	(1,658,886)	(352,476)	(3,467,516)
საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2022	601,669	3,162,166	653,220	109,735	4,526,790
31 დეკემბერი 2023	601,669	2,667,733	460,899	110,470	3,840,771

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად ამორტიზებული ძირითადი საშუალებების ნაშთი შეადგენდა 689,603 ლარს (2022: 103,038 ლარი).

შპს „ორბი ბეტონი“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ქვიშა-ხრეში-ლორღი	-	668,215
სათადარიგო ნაწილები	-	72,002
ცემენტი	-	65,356
ბეტონის წარმოებისთვის საჭირო დანამატები	-	45,611
საწვავი	-	25,697
სხვა	-	8,558
სულ	-	668,215

12. გაცემული სესხები

გაცემული სესხები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	735,082	2,202,723
სხვა პირებზე გაცემული სესხები	77,596	42,000
გაცემული სესხები, ბრუტო	812,678	2,244,723

გაუფასურების ანარიცხი:

დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	(735,082)	(2,122,089)
სხვა პირებზე გაცემული სესხები	(77 596)	(42,000)
სულ გაუფასურების ანარიცხი	(812,678)	(2,164,089)
სულ გაცემული სესხები, ნეტო	-	340,550

სესხები გაცემულია დამფუძნებლებზე ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში. გაცემული სესხების ხელშეკრულების პირობები წლების მიხედვით წამოდგენილია ქვემოთ:

გაცემული სესხები:	%	ვალუტა	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
დაკავშირებული მხარეზე	20%	დოლარი	მოთხოვნამდე	345,520	1,963,528
დაკავშირებული მხარეზე	20%	ლარი	მოთხოვნამდე	389,562	239,195
ფიზიკურ პირებზე	20%	ლარი	მოთხოვნამდე	77,596	42,000
				812,678	2,244,723

გაცემული სესხების რეკონსილაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
საწყისი ნაშთი	2,244,723	2,504,639
საპროცენტო შემოსავალი	210,390	27,070
სესხის დაფარვა	(1,864,808)	-
საკურსო სხვაობის ეფექტი	222,372	(286,986)
გაცემული სესხები, ბრუტო	812,677	2,244,723
გაუფასურების ანარიცხი	(812,677)	(2,244,723)
საბოლოო ნაშთი, ნეტო	-	-

შპს „ორბი ბეტონი“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

13. საგადასახადო აქტივი

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო მოთხოვნები	2,730,705	4,597,120
საექვო მოთხოვნების ანარიცხი	(2,496,179)	(2,107,345)
სულ ფინანსური მოთხოვნები, ნეტო	234,526	2,489,775
გაცემული ავანსები	168,238	433,940
გაუფასურების ანარიცხი	(168,238)	(150,276)
სულ არაფინანსური მოთხოვნები, ნეტო	0	283,664
სულ	234,526	2,773,439

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიური გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. სხვა მოთხოვნების გაუფასურებისთვის კომპანია იყენებს გაუფასურების ინდივიდუალურ მიდგომას.

15. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	-	370,995
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	62,732	36,961
სულ	62,732	407,956

16. კაპიტალი

კომპანიის საკუთარი კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალს და დაგროვილ გაუნაწილებელ მოგება/(ზარალს).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის მფლობელების შესახებ ინფორმაცია მოცემულია 1-ელ შენიშვნაში.

2023 წელს კომპანიას არ გამოცხადებია და გაუცია დივიდენდი. (2022: 0 ლარი).

შპს „ორბი ბეტონი“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

17. მოკლევადიანი სესხები

მიღებული სესხები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხები სახსრები	508,928	1,332,591
დაკავშირებული იურიდიული პირისგან მიღებული სესხი	2,138,092	2,881,094
სულ	2,647,020	4,213,685

მიღებული სესხების ხელშეკრულების პირობები წლების მიხედვით წამოდგენილია ქვემოთ:

ნასესხები სახსრები:	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფინანსური ინსტიტუტებიდან	დოლარი	8%	2022-2025	508,928	1,332,591
დაკავშირებული იურიდიული	ლარი	უპროცენტო	მოთხოვნამდე	1,473,460	-
პირისგან	დოლარი	12%	მოთხოვნამდე	555,562	2,778,274
სულ	ლარი	13%	მოთხოვნამდე	109,069	102,820

სესხზე მოძრაობა შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2023	2022
საწყისი ნაშთი	4,213,685	4,913,320
სესხის გადახდა	(1,653,366)	(408,394)
საპროცენტო ხარჯი	236,607	316,260
საკუროს სხვაობის ეფექტი	(149,906)	(607,501)
საბოლოო ნაშთი	2,647,020	4,213,685

კომპანიას მიღებულ სესხებთან დაკავშირებით აქვს ფინანსური კოვენანტები, რომლებიც 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არის დაკმაყოფილებული. ფინანსური კოვენანტები სტატუსების შესაბამისად წარმოდგენილია ქვემოთ:

ვალდებულება	სტატუსი
Debt to EBITDA <3.0	არ არის დაკმაყოფილებული
DSCR (P&L Based) > 1.3x	არ არის დაკმაყოფილებული
DSCR (CFASDS Based) > 1.05x.	არ არის დაკმაყოფილებული
ICR > 3x	არ არის დაკმაყოფილებული

ვინაიდან, დარღვეული კოვენანტების გამო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ინსტიტუტს ჰქონდა სესხის სრულად მოთხოვნის უფლება, კომპანიამ მიღებული სესხები სრულად წარადგინა როგორც მიმდინარე ვალდებულება. მენეჯმენტს სჯერა, რომ გამსესხებელი არ მოითხოვს სესხის დაუყოვნებლივ დაბრუნებას და ადრეული გადახდის ვალდებულება არ დაუდგება.

18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 20223	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო ვალდებულებები	383,467	4,122,637
მიღებული ავანსები	76,480	309,330

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

სხვა ვალდებულებები	40,151	25,189
სულ	500,098	4,457,156

19. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული მიმდინარე სასამართლო დავების შედეგად.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონმდებლობით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ მაქსიმუმ წინა სამი წლის პერიოდზე.

20. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, ურთიერთდაკავშირებულად განიხილებიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში. თითოეულ დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობების გათვალისწინებით, ყურადღება მიექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები შემდეგია:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

კავშირის სახე		31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	158,833	624,604
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	-	3,596,320
მიღებული სესხი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	2,138,092	2,881,094
გაცემული სესხი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	-	561,720
გაცემული სესხი	მეწილე	-	1,641,003

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

შპს „ორბი ბეტონი“


მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები რეალიზაციიდან	5	10,032,997	18,072,691
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	-9,565,452	-16,657,999
საერთო მოგება		467,545	1,414,692
სხვა შემოსავალი		-	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	7	-1,301,642	-649,966
აქტივების გაუფასურების ხარჯი	8	1,837,926	-701,732
საოპერაციო მოგება		1,003,829	62,994
ფინანსური შემოსავალი	12	210,390	27,070
ფინანსური ხარჯი	17	-236,607	-316,260
საკურსო მოგება	9	5,758	321,028
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		983,370	94,832
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		983,370	94,832

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 8 მაისს:


 ამირან მეფარიშვილი
 დირექტორი

